

# ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2018

საქართველოს სახალხო დამცველი | 2020







# ფემინიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2018

საქართველოს სახალხო დამცველი | 2020

**მეთოდოლოგიის ავტორი:** თამარ დეკანოსიძე

**სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ ექსპერტები:**

გიორგი გოცირიძე და ნინო იაკობიძე

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

# შინაარსი

შესავალი	4
1. კვლევის მეთოდოლოგია	5
2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა	7
3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები	12
4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები	13
4.1. სტერეოტიპული დამოკიდებულება	13
4.2. მტკიცებულებების შეკრება	13
4.3. დაზარალებულად ცნობა	14
4.4. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება	14
4.5. გენდერული მოტივის დადგენა	14
4.6. ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა	15
5. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/დადგენილებების ანალიზი	17
6. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები	18
6.1 531 მუხლის გამოყენების სპეციფიკა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში	18
6.2 სასჯელის დანიშნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები	19
6.3 დანაშაულის კვალიფიკაცია	20
დასკვნა	21
რეკომენდაციები	22
დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა	24

# შესავალი

სახელმწიფოს მიერ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით, ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯებისა და პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების პრევენცია, და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება.

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, დუბრაკა სიმონოვიჩმა 2015 წელს სახელმწიფოებს მოუწოდა, მიზანმიმართულად ემუშავათ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების თავიდან ასაცილებლად, დაენერგათ ფემიციდის შემთხვევებზე ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემა და ყოველი წლის 25 ნოემბერს წარმოედგინათ შემთხვევათა დეტალური ანალიზი.<sup>1</sup>

გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოთქვა მზაობა, შეექმნა ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი. „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის“ ფარგლებში მინიჭებული მანდატის საშუალებით, სახალხო დამცველმა მიზნად დაისახა გაენალიზებინა ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის თითოეული საქმე.

სახალხო დამცველმა დეტალურად გააანალიზა 2016-2017 წლებში მომხდარი ფემიციდის შემთხვევები, გამოსცა ორი ანგარიში და უწყებებისთვის შეიმუშა-

ვა შესაბამისი რეკომენდაციები.<sup>2</sup> მისასალმებელია, რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა, რამაც გააუმჯობესა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. სახალხო დამცველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის ცალკე გამოყოფა სისხლის სამართლის კოდექსში. მისასალმებელია, რომ 2018 წელს კანონმდებლობაში ასახული ცვლილებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ, გენდერული ნიშნით დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო. ეს, ერთი მხრივ, ზრდის ქალთა მიმართ ჩადენილი გენდერული მკვლელობების/ მკვლელობის მცდელობების სწორად სახელდების შესაძლებლობებს და ამასთან, შესაძლებელს ხდის ზუსტი სტატისტიკის წარმოებას.

ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს<sup>3</sup> რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა 2014-2018 წლებში მომხდარი შემთხვევების მონიტორინგი. საქმეთა სამართლებრივი ანალიზის მეთოდოლოგია მოიცავს მართლმსაჯულების განხორციელების და სტატისტიკის დინამიკის შეფასებას, რაც შესაძლებლობას იძლევა, გაიზომოს მიღწეული პროგრესი და გამოვლინდეს ის ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის პრობლემასთან ბრძოლას.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

1 დეტალები იხილეთ <https://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=16796&LangID=E>  
2 2016 და 2017 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: <https://bit.ly/39DNi1L>; <https://bit.ly/2waW6yw> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 აპრილს]  
3 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/geo/femitsidze-zedamkhedvelobis-meqanizmis-sakonultatsio-sabchosh-shesakheb> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 11 მარტს]

# 1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლევლობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიქმნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რომელიც, ასევე გამოვიყენეთ წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.<sup>4</sup>

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე<sup>5</sup> დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

*ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.*

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის

გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.<sup>6</sup>

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.<sup>7</sup>

მსხვერპლისთვის დადგენილი გენდერული როლებისადმი დაუმორჩილებლობა და მათ წინააღმდეგ წასვლა, იკვეთება როგორც დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი/მოტივი.

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი ჩატარდა სამ ეტაპად. **კვლევის პირველი ეტაპი** გულისხმობდა ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის და გამატყულებელი განაჩენების გამოთხოვას საერთო

4 „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“ 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

6 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

7 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2KrEn9k> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 აპრილს].

სასამართლოებიდან,<sup>8</sup> ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების გამოთხოვას საქართველოს გენერალური პროკურატურიდან.

**კვლევის მეორე ეტაპზე** გაანალიზდა პირველი, სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.

**კვლევის მესამე ეტაპზე** სამივე ინსტანციის სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.<sup>9</sup>

შედეგად, საერთო სასამართლოებიდან სახალხო დამცველის აპარატს, 2014-2018 წლებში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, სულ 179 განაჩენი მოეწოდა. მათგან ანალიზისთვის შეირჩა 83 ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმე,<sup>10</sup> ვინაიდან დანარჩენ საქმეებში ფემიციდის ნიშნები არ იკვეთებოდა. 82 საქმეზე სრულად გაანალიზდა სისხლის

სამართლის საქმის მასალები, ხოლო 1 საქმეზე გაანალიზდა მხოლოდ განაჩენი.<sup>11</sup>

გაანალიზებული 83 საქმიდან, 38 შემთხვევა მომხდარი 2014-2015 წელს, 11 – 2016 წელს, 17 – 2017 წელს და 17 – 2018 წელს.<sup>12</sup> არსებობის შემთხვევაში, საქმესთან დაკავშირებით, ვეცნობოდით სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა 2014-2018 წელს მომხდარ ქალთა მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის შემთხვევებზე გამოძიების და დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები/განაჩენები - სულ 40 საქმე, რომელიც ასევე გაანალიზდა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.<sup>13</sup>

კვლევაში მოხმობილი სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლოებიდან მიღებული საქმის მასალების ანალიზს ეფუძნება. ამასთან, ანგარიშში წარმოგიდგინეთ პროკურატურის მიერ მოწოდებულ სტატისტიკასაც, რომელიც, ცალკეულ შემთხვევაში, არ შეესაბამება სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. ამ გარემოების გათვალისწინებით, ანგარიშში მოხმობილი სტატისტიკა არ უნდა აღვიქვათ 2014-2018 წლებში მომხდარი ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტების ზუსტ სტატისტიკად.


- 8 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ 117.2), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115), სსკ-ის 19, 108ე და 19, 109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). მუხლების ჩამონათვალს, 2018 წელს დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, სადაც, შეიძლება, ასევე გამოიკვეთოს ფემიციდი. დამატებით, გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სისხლის სამართლის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც, შესაძლებელია, ასევე გამოკვეთილიყო ფემიციდის სხვადასხვა ტიპი. კერძოდ, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133.1.3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133.2.3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 143.1.4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 144.1.3.გ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილები: 10.11.2017, №ოს/08-17; 30.05.2018, №პ-220-18; 14.05.2019, №პ-811-19; 12.02.2019, №პ -115-19.
- 9 საქმეთა ნაწილი სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა მატერიალური სახით, ხოლო საქმეების ნაწილს გავეცანით თბილისის საქალაქო სასამართლოში ან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში.
- 10 გაანალიზებული საქმეებიდან 44 საქმე ეხებოდა ქალის გენდერული ნიშნით მკვლელობას, 38 - ფემიციდის მცდელობას, ხოლო ერთი საქმე ეხებოდა როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას. გაანალიზებული საქმეებიდან მხოლოდ 1 შემთხვევა ეხება ტრანსგენდერი ქალის მკვლელობას.
- 11 აღნიშნული საქმე ეხება 2018 წელს მომხდარ ფემიციდის მცდელობას, კვლევის პერიოდში ამ საქმეზე მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არსებობდა, რომელიც სააპელაციო სასამართლოში იყო გასაჩივრებული. ამ უკანასკნელს კვლევის პერიოდში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. ვინაიდან საქმე არ იყო დასრულებული, შესაბამისად, ვერც სისხლის სამართლის საქმის მასალების სრულად გაცნობა მოხერხდა.
- 12 2016 და 2017 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეები სახალხო დამცველმა გასულ წლებში გაანალიზა, შესაბამისად, 5-წლიან ანგარიშში ინტეგრირდა უკვე მომზადებული ანგარიშები.
- 13 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილები: №13/49027, 29/ივნისი/2018წ; №13/58062 09/აგვისტო/2019წ; №13/57408, 07/აგვისტო/2019 წ; №13/86342, 10/დეკემბერი/2019 წ.




## 2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა

ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების და მკვლელობის მცდელობების საქმეებზე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მონოდედებული ინფორმაცია აჩვენებს<sup>14</sup>, რომ ქალთა მკვლელობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი

იყო 2014 წელს (სულ 35 ფაქტი) მომდევნო წლებში ეს რიცხვი შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ქალთა მკვლელობის მცდელობის მცდელობის მაჩვენებელი გაიზარდა 2017-2018 წელს (18-18 შემთხვევა).



დიაგრამა N1: ქალთა მკვლელობები: პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკა (2014-2018)




დიაგრამა N2: ქალთა მკვლელობის მცდელობები: პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკა (2014-2018)


საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტმა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის სულ 83 საქმე გააანალიზა. გაანალიზებული 83

საქმიდან 44 ეხება მხოლოდ ფემიციდს, 38 - ფემიციდის მცდელობას, 1 საქმე ეხება როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას.


14 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილები: №13/58062, 09/08/2019წ; №13/86342, 10/12/2019წ; №13/72420, 08/11/2017წ; №13/10053, 08/02/2018წ; №13/6816, 31/01/2019წ; №13/86239, 09/12/2019 წ; №13/1865, 14/01/2020 წ.




დიაგრამა N3: ფემიციდის ჩამდენი ოჯახის წევრები



დიაგრამა N4: ფემიციდის ჩამდენი გარეშე პირები




დიაგრამა N5: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი ოჯახის წევრები




დიაგრამა N6: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი გარეშე პირები

სტატისტიკა აჩვენებს, რომ როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას, ყველაზე ხშირად ქალის მიმართ ჩადიან ქმრები/პარტნიორები, ყოფილი

ქმრები/პარტნიორები ან შეყვარებულები<sup>15</sup>, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ოდესმე ერთად ან თანაუგრძნობდა თუ არა მსხვერპლი მათ.



დიაგრამა N7: ფემიციდის ჩადენის მოტივი




დიაგრამა N8: ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი


15 ტერმინი „შეყვარებული“ მოიაზრებს როგორც პირებს, რომლებსაც, რამდენადაც ეს საქმის მასალებიდან ირკვევა, არ ჰქონდათ ერთმანეთთან სექსუალური კავშირი, ასევე პირებს, რომლებსაც ცალმხრივად უყვარდა მეორე პირი იმგვარად, რომ მეორე მხარისათვის ეს ცნობილი იყო, მაგრამ არ თანაუგრძნობდა.

დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი იკითხება ბრალდებულის, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებში, სადაც ხშირია გენდერულად განსაზღვრული ლექსიკის გამოყენება. მიუხედავად ამისა, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს ეტაპზე, პრობლემურია გენდერული მოტივის გამოკვეთა და მასზე მსჯელობა. ყველაზე ხშირად, როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად მითითებულია „შურისძიება“ და „ეჭვიანობა“.

2014-2018 წლის საქმეთა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ქალის მკვლელობის სამ საქმეზე საერთოდ ვერ დადგინდა მოტივი. აქედან ფემიციდის ორი საქმე შეტანილია 2017 წლის ანგარიშში,<sup>16</sup> ერთი საქმე - 2016 წლის ანგარიშში.<sup>17</sup> რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, მოტივი არ ყოფილა გამოყოფილი 2017 წელს მომხდარ სამ საქმეში,<sup>18</sup> ასევე 2016 წელს მომხდარ ორ საქმეში,<sup>19</sup> 2018 წელს მომხდარ ერთ საქმეში ასევე არ იკვეთება მოტივი, ხოლო 2014 წელს მომხდარ ერთ საქმეში იყო ერთდროულად ორი მოტივი - ეჭვიანობა და შურისძიება.



დიაგრამა N9: ფემიციდის ჩადენის ადგილი



დიაგრამა N10: ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი

გაანალიზებული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი უფრო ხშირად არის სახლი, რაც, ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ფემიციდის, როგორც გენდერული დანაშაულის ხასიათს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ბევრი

საქმე იყო დაკავშირებული ქალის მიერ „სოციალური როლის“ შესრულებასთან თუ ვერ შესრულებასთან, რაც უშუალოდ წინ უძღოდა დანაშაულს.

როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის იარაღი, უმეტესწილად იყო დანა.<sup>20</sup> მოძალადეთა


16 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, გვ.10, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2UhmL5V>

17 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, გვ.16, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2Ui0GnO>

18 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, გვ.12, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2UhmL5V>

19 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, გვ. 17, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2Ui0GnO>


20 ფემიციდის ჩადენის იარაღი 1 შემთხვევაში იყო ზონარი, 1 - ბენზინი, 2 - ცემა, 1 - ლითონის საგანი, 1- ჩაქურჩი, 1 - მსხვილი ჯოხი, 2 - ქვა (ბეტონის ფილა), 2 - ელექტროსადენი, 2 - მანქანის გადატარება, 2 - ბოთლი, 2 - ხელით დახრჩობა, 2 - ხის სკამი (ტაბურეტი), 2 - ნაჯახი, 7 - ცეცხლსასროლი იარაღი, 20 - დანა. მნიშვნელოვანია, რომ ფემიციდის ზოგიერთი შემთხვევა ერთზე მეტი იარაღით იქნა ჩადენილი. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, 1 შემთხვევაში დანაშაული ჩადინეს იატაკის საწმენდი ჯოხით, 1 - გაზის მილით, 1 - ბლაგვი საგნით, 1 - საყვავილით, 1 - ხმლით, 1 - ბენზინით, 2 - ჩაქურჩით, 1 - ქვით, 2 - ნაჯახით, 2 - ცეცხლსასროლი იარაღით, 21 - დანით, 1 - სიმალლიდან (საცხოვრებელი ბინიდან) გადავდებით, ხოლო სხვა შემთხვევაში დანაშაული ჩადენილი იქნა სისტემატური ძალადობით (თვითმკვლელობის ცდამე მიყვანის შემთხვევაში) ან არ იყო გამოკვეთილი კონკრეტული იარაღი.



დიაგრამა N:11 ფემიციდის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა

უმეტესობა, როგორც მკვლელობის, ისე მკვლელობის მცდელობის ჩადენისას ფხიზელი იყო.<sup>21</sup> გაანალიზებული საქმეებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე პირია, და დანაშაულის ჩადენის პერიოდში - უმუშევარი.<sup>22</sup> რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირთა ნასამართლეობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება:

სტატისტიკის ქრილში ასევე გაანალიზდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დაზარალებული ქალების და ბრალდებული კაცების რაოდენობა. პირის ეთნიკურ უმცირესობად მიჩნევისას გამოვიყენეთ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმი. ობიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის მიერ ქართული ენის არცოდნა ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. სუბიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია ის



დიაგრამა N:12 ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა

გარემოება, რომ იმის მიუხედავად, რომ ადამიანი ფლობს ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეა, გამოძიებასა და სასამართლოში აცხადებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია.<sup>23</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაზარალებულთა თითქმის მეოთხედი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. 2014-2017 წლებში შედარებით მცირე იყო იმ საქმეების რიცხვი, სადაც დაზარალებული და ბრალდებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო. ვითარება შეიცვალა 2018 წელს. ამ პერიოდში მოხდა 7 ფემიციდის დანაშაული, აქედან ხუთ შემთხვევაში დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი იყო.<sup>24</sup>

რაც შეეხება სასჯელებს, ყველაზე მკაცრი სასჯელი - უკიდო თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 2018 წელს ჩადენილ სამი ქალის გენდერული მკვლე-

21 ფემიციდის შემთხვევებში, 26 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო ფხიზელ მდგომარეობაში, ან დაუდგენელია იყო თუ არა ნასვამი, ხოლო დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო 19 ბრალდებული. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, ბრალდებული პირებიდან დანაშაულის ჩადენის დროს ფხიზელი იყო ან მათი მდგომარეობა დაუდგენელია 29 შემთხვევაში, ხოლო ბრალდებული ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო 10 შემთხვევაში.


22 ფემიციდის ჩამდენი პირებიდან 33 იყო საშუალო განათლების მქონე, 2 - არასრული საშუალო, 4 - უმაღლესი განათლების მქონე, 1 - არასრული უმაღლესი, ტექნიკური განათლების მქონე - 2, განათლების გარეშე - 1, გაურკვეველია - 2 საქმეში. რაც შეეხება დასაქმების მონაცემებს, 28 ბრალდებული იყო უმუშევარი, 3 - პენსიონერი, 7 - დასაქმებული და 7 შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები საქმის მასალებიდან არ ჩანდა. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირებიდან 26 იყო საშუალო განათლების მქონე, 4 - არასრული საშუალო, 7 - უმაღლესი განათლების მქონე, 1 - არასრული უმაღლესი, გაურკვეველია - 1 საქმეში. ფემიციდის მცდელობის შემთხვევებიდან 26 ბრალდებული იყო უმუშევარი, 10 - დასაქმებული, ხოლო 3 საქმეში აღნიშნული მონაცემი გაურკვეველია.

23 არც ობიექტური და არც სუბიექტური კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში, არც ბრალდებული, და არც დაზარალებული არ ყოფილან შეყვანილი ეთნიკური უმცირესობის სტატისტიკაში. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ საქმეში იყვნენ არაქართული გვარის მატარებელი ბრალდებულები და დაზარალებულები, ისინი არ იქნენ მიჩნეული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლად, ვინაიდან არც სუბიექტური, არც ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობდა მათ ასეთად მისაჩვენად.

24 შეიდიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში, ფემიციდის ჩამდენი პირები იყვნენ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული მამაკაცები.

ლობის საქმეზე.<sup>25</sup> ფემიციდისათვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი (2 წლით თავისუფლების აღკვეთა) გამოიყენა 2017 წელს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ.<sup>26</sup>

ფემიციდის მცდელობისათვის გამოყენებული ყველაზე დიდი სასჯელი, 18 წლით თავისუფლების აღკვეთაა.<sup>27</sup> ფემიციდის მცდელობისთვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა 2017 წელს.<sup>28</sup>



**დიაგრამა N13:** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირები ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში

25 ასეთი სასჯელი გამოიყენა გორის რაიონულმა სასამართლომ 2018 წელს მ.კ.-ს მიმართ, რომელმაც გაუპატიურების მიზნით მსხვერპლს ცეცხლსასროლი იარაღით ჯერ ქმარი და მცირეწლოვანი შვილი დაუხოცა, შემდეგ, ქალი გააუპატიურა და ჩანჩქერში დაახრჩო. მეორე საქმეც 2018 წელს მოხდა, როდესაც მამინაცვალმა ორი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მოკლა გერი იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულის ურთიერთობას დედასთან. ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. რაც შეეხება მესამე საქმეს, მამაკაცმა საცოლე ქვით და დანით მოკლა ფარეხთან. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წელს ამ საქმეზეც უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა.

26 განაჩენი გამოიტანა მცხეთის რაიონულმა სასამართლომ. ქმარმა გაიგო ცოლის ღალატის შესახებ, მივიდა სახლში და დანით მოკლა. 2017 წლის 7 დეკემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (განზრახ მკვლელობა უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. სასამართლო ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებული დამნაშაულის ჩადენის დროს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

27 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 სექტემბის განაჩენი №1/3253-18.

28 მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო პირი სისხლის სამართლის კოდექსის 19-11<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (უცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში განზრახ მკვლელობის მცდელობა). საქმის მასალების მიხედვით, ცოლმა ქმარს სიტყვიერი შურაცხყოფა მიაცენა, რის გამოც ქმარმა ცოლს თავში რამდენჯერმე ჩაარტყა ჩაქუჩი. ფსიქიკური ექსპერტიზის შედეგად, ბრალდებულს ფიზიოლოგიური აფექტი დაუდგინდა. სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უგულებელყო ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ოჯახის წევრის მიმართ, რაც სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა. სსკ-ის 11<sup>1</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლიდან 3 წლამდე, თუმცა სასამართლომ დაუსაბუთებლად, მითითებული მუხლის თავისუფლების აღკვეთის სახის მინიმუმი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა (მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენი №1/240-17).

### 3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

მოცემულ კვლევაში გაანალიზებულ სისხლის სამართლის ყველა საქმეში დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ ეჭვიანობა, მესაკუთრული დამოკიდებულება, ქცევის კონტროლი ან/და გენდერული როლის მორჩილების მოთხოვნა იკვეთება.

გენდერული მოტივი ხშირად იკვეთება თავად ბრალდებულების აღიარებით ჩვენებებში. 2014-2015 წლებში მომხდარ თითქმის ყველა საქმეში, ბრალდებულები მათ მიერ ჩადენილ მკვლელობას იმით ხსნიან, რომ მსხვერპლმა უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე ან ყოფილმა ცოლმა უარი უთხრა შერიგებაზე. მკვლელობა კი იკვეთება როგორც ერთგვარი სასჯელი კაცის მხრიდან, ქალის ამგვარი თავისუფალი არჩევანის გამო. ასევე გვხვდება საქმეები, სადაც ყოფილმა ქმრებმა ცოლები სხვა კაცთან ურთიერთობის გამო „დასაჯეს“.

2015 და 2018 წლებში მომხდარ ზოგიერთ საქმეში მკვლელობა ხდება კაცის მიერ ქალის სხეულით სექსუალური დაკმაყოფილების მიღების მიზნით. 2014 წელს ასევე გვხვდება ასოციაციური ფემიციდის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩამდენი

მამაკაცები მსხვერპლად ირჩევენ შურისძიების ობიექტი ქალის ოჯახის წევრ ქალებსა და გოგოებს.

ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა ზოგჯერ უკავშირდება ქალის მიმართ ეკონომიკურ ძალადობასაც, კერძოდ, 2014 და 2018 წლებში გვხვდება შემთხვევები, როცა მკვლელობის მცდელობა დაკავშირებულია ქმრის ან ყოფილი ქმრის მიერ ქალისათვის საცხოვრებელი სახლის სარგებლობის უფლების ხელის შეშლასთან.

მკვლელობის მცდელობის მიზეზები ასევე ხდება ქალის მიერ გენდერული როლის და შესაბამისი საქმიანობის არაჯეროვანი შესრულება: მაგალითად, ერთ საქმეში ქმარმა ცოლის მოკვლა სცადა პურის დაწვის გამო. ასევე აღსანიშნავია შემთხვევა, როცა ქალის მკვლელობის მცდელობის მიზეზი გახდა ქმრის, როგორც „ოჯახის უფროსის“ მითითებების დაუმორჩილებლობა საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით: კერძოდ, ქმარმა ცოლის ბენზინით დაწვა სცადა იმის გამო, რომ ცოლი არ დაემორჩილა ქმრის მითითებას და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სახლში მეორადი ტანსაცმელი მიიტანა.



## 4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

### 4.1. სტერეოტიპული დამოკიდებულება

გამოძიების ეტაპზე, თავს იჩენს გამოძიებლის მხრიდან მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოვლენის პრობლემა. კერძოდ, მისი პირადი, სექსუალური ცხოვრებით დაინტერესება, მაშინაც კი, როცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გარემოებების დასადგენად. 2017 წელს, ერთ-ერთ საქმეში გამოძიებამ მოწმის სტატუსით დაკითხა მსხვერპლის პარტნიორი კაცი (ვისზეც ბრალდებული ეჭვიანობდა). ამ პირის მოწმის სტატუსით დაკითხვისას, გამოძიებელი მას უსვამდა კითხვებს, რომლებსაც გამოძიებასთან შეხება არ ჰქონდათ („სად ხვდებოდით მსხვერპლს?“, „დღის რა მონაკვეთში ხვდებოდით მსხვერპლს?“, „რამდენჯერ და სად გქონდათ მსხვერპლთან სქესობრივი კავშირი?“, „ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ჰყავდა თუ არა მსხვერპლს თქვენს გარდა სხვა მეგობარი მამაკაცი?“). ამგვარი მიდგომა გამოძიების პროცესში გენდერულად არამგრძობიარე და სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და შეურაცხყოფს მსხვერპლის/დაზარალებულის პატივსა და ღირსებას.

### 4.2. მტკიცებულებების შეკრება

2018 წელს ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაულის შემთხვევაში, გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაზიანების სათანადო დოკუმენტირება და ვერ მოახერხა იმგვარი მტკიცებულების შეკრება, რაც სამედიცინო ექსპერტიზას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები რა საგნით წარმოიშვა. ამ გარემოების დაუდგენლობამ, საბოლოო ჯამში, გავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე.

ასევე, მაგალითად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში<sup>29</sup>, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ „დაზიანების ჭრილობის მიმყენებელი საგნის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მისი (ჭრილობის) სრულყოფილი მორფოლოგიური სურათი. ჭრილობა მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს“. თავად დაზარალებულს ექსპერტიზა არ ჩატარებია. დაზარალებულის ჩვენებით, ქმარმა მას დანა დაარტყა. დანის გამოყენება დადასტურდა ბიოლოგიური ექსპერტიზითაც, თუმცა გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაზიანების სათანადო დოკუმენტირება, რამაც შეუძლებელი გახადა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის საშუალების დადგენა და შედეგად, დანაშაულებრივ განზრახვას ნათელი ვერ მოეფინა.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის იარაღის დადგენა ვერც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში მოხერხდა.<sup>30</sup> დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მას „თავის მიდამოში აღენიშნებოდა ნაჩხვლეტი ჭრილობა“. საქმის მასალებიდან კი ირკვეოდა, რომ ბრალდებულმა ცოლს თავში წიხლი ჩაარტყა, რის შედეგადაც დაზარალებულმა გონება დაკარგა. გამოძიებამ ვერც დაზარალებულის და ვერც ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებით, ვერც სხვა საგამოძიებო მოქმედებით, მცდელობის მიუხედავად, ვერ დაადგინა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო „მჩხვლეტავი საგანი“, რითაც დაზარალებულს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიადგა.

29 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, მ.ყ.-ს საქმე №1/164-2018.

30 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე, ე.პ.-ს საქმე №1/4483-18.

### 4.3. დაზარალებულად ცნობა

2017 წლამდე პრობლემას წარმოადგენდა დაზარალებულად დროულად ცნობა. სამწუხაროდ, წინა წლებში არსებული ტენდენციით, პირს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, ძირითადად, ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემიდან 2-3 თვის გასვლის შემდეგ ცნობდნენ.<sup>31</sup>

დადებით ტენდენციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2017-2018 წლებში მომხდარი მკვლელობის ან/და მკვლელობის მცდელობის საქმეებში, წინა წლებისგან განსხვავებით, პირების დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა დროულად ხდებოდა.

### 4.4. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება

2014-2015 წლების დადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს ის, რომ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა უმრავლესობაში, პროკურატურა სასამართლოსაგან ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობას ითხოვდა და სასამართლო ამ შუამდგომლობას ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებდა. თუმცა იყო ისეთი შემთხვევაც, როცა პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ გირაო ისე მოითხოვა, რომ თავად ბრალდებული სხდომას არ ესწრებოდა და სასამართლოს არ მოუსმენია მისი აზრი, შეძლებდა თუ არა გირაოს თანხის გადახდას.<sup>32</sup>

2018 წელს განხილულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის არცერთ საქმეში პროკურორს არ მოუთხოვია პატიმრობაზე მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება, არც სასამართლოს გამოუყენებია პატიმრობის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის სავარაუდო ჩამდენი პირების მიმართ.

2018 წელს სიახლე იყო აღკვეთის ღონისძიების განჩინების დასაბუთება მომავალში გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის საშიშროებით. კერძოდ, ორ საქმეში, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევას, თბილისის საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა კონფლიქტი ამონურული თავის მეუღლესთან, წარსულში არაერთხელ ჰქონდა ოჯახში ძალადობას ადგილი, შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ, პატიმრობის გარდა, სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებული ან გაიმეორებდა ცოლის მიმართ დანაშაულს, ან ჩვენების შეცვლის მიზნით, მოახდენდა მასზე ზემოქმედებას. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას პროკურატურა სასამართლოს წარუდგენდა წარსულში ბრალდებულის მიმართ გამოცემულ დამცავ ან შემაკავებელ ორდერებს<sup>33</sup>, ასევე წარსულში ოჯახში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით მიღებულ განაჩენებს,<sup>34</sup> რაც ცალსახად დადებითი პრაქტიკაა.

ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გამკაცრებულ მართლმსაჯულების პოლიტიკაზე მიუთითებს საპროცესო შეთანხმებების გამოყენების სტატისტიკის ანალიზიც. კერძოდ, თუ 2014-2015 წლებში 11 საქმეში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 2016 წელს ფემიციდის ერთ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 2017-2018 წელს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ასევე ერთ საქმეში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

### 4.5 გენდერული მოტივის დადგენა

ზემოთ განხილული დადებითი ტენდენციების პარალელურად, გამოძიების ეტაპზე გენდერული მოტივის დადგენა უფრო რთული ხდება. ხშირად, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, დანაშაულის გენდერულ მოტივზე მიმთითებელი საქმეში არსებული ერთადერთი მტკიცებულებაა.

31 რუსთავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი (საქმე №21-283-17).

32 ბათუმის საქალაქო სასამართლო საქმე ვ.ბ.-ს №21-1197/14. ამავე საქმეში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფემიციდის მცდელობის ჩადენამდე, რისთვისაც პროკურატურა ითხოვდა გირაოს შეფარდებას, პირი სისტემატურად ძალადობდა ცოლზე. შესაბამისად, არსებობდა იმის ალბათობა, რომ გირაოს შეფარდების შემდეგ, ბრალდებულს ყოფილ ცოლზე ძალადობა გაეგრძელებინა, მათ შორის, ჩვენების შეცვლის მიზნით. სასამართლოს სხვა შესაძლებლობა არ გააჩნდა გარდა იმისა, რომ გირაოს დაკისრების თაობაზე შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა. თუმცა სასამართლოს განჩინების შემდეგ, ბრალდებულმა არც გირაოს თანხა გადაიხადა და არც გამოძიებასთან ითანამშრომლა. ამის გამო ბრალდებულს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და პატიმრობა დაეკისრა. შესაბამისად, ამ საქმეში გაუგებარი დარჩა, პროკურატურამ თავიდანვე რატომ არ მოითხოვა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება.

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს ი.ც.-ს საქმე №21/737-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №21/1311-18.

34 თბილისის საქალაქო სასამართლოს ვ.ბ.-ს საქმე №21/3152-18.



ამის ნათელი მაგალითია ლ.გ.-ს საქმე, რომელიც გამოძიებაში აცხადებდა, რომ მეგობარი გოგო ლალატის გამო მოკლა. მას შემდეგ, რაც ბრალი დაუმძიმეს, ბრალდებულმა გენდერული მოტივის არსებობაც უარყო და თავად დანაშაულის ჩადენაც. მართალია, ამ საქმეში ბიოლოგიური ექსპერტიზის და სოციალურ ქსელებში მიმონერების საფუძველზე, ლ.გ.-ს დანაშაული დადასტურდა, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე აღიარების უარყოფის გამო, სასამართლომ ვერ დაადგინა, რა გახდა საქმროს მხრიდან ახალგაზრდა ქალის მკვლელობის მოტივი.<sup>35</sup> მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ცდილობდა მოცემულ შემთხვევაში მოტივი ვერ გამოიკვეთა.

გამომდინარე, იქიდან რომ მოტივი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს და ხშირად მხოლოდ ბრალდებულმა იცის რა მოტივით სჩადის დანაშაულს, მნიშვნელოვანია ფემიციდის დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით ბრალდებულის აღიარებას მოტივის თაობაზე მნიშვნელობა მიენიჭოს საქმის დისკრიმინაციულ დანაშაულად კვალიფიცირებისთვის.

## 4.6 ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა

ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა ხშირად არის გენდერული უთანასწორობის და სისტემატური გენდერული ძალადობის კულმინაცია, შესაბამისად, დანაშაულის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად კვალიფიკაციის დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, განიცდიდა თუ არა მსხვერპლი დამნაშავის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას და ძალადობას მკვლელობის ჩადენამდე. ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია დანაშაულის მოტივის გამოსავლევად და სასჯელის შესაფარდებლად.

საქმეთა ანალიზიდან იკვეთება, რომ 2014-2017 წლებში გამოძიება ცალსახად არ ინტერესდებოდა იმ ძალადობრივი ინციდენტებით, რომლებიც წინ უძღოდა ფემიციდს ან ფემიციდის მცდელობას. ზოგჯერ ფემიციდი იმით იყო გამოწვეული, რომ პოლიციამ, ოჯახში ძალადობის ფაქტზე დროული და ეფექტიანი რეაგირება არ მოახდინა.

2014-2017 წლებში, სისხლის სამართლის საქმეებს, ჩვეულებრივ არ ახლდა დაზარალებულის მიერ პოლიციისთვის მიმართვის ან პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მტკიცებულება. ამის მიუხედავად, დაზარალებული და მოწმეები დაკითხვის/გამოკითხვის ოქმებში მიუთითებდნენ ძალადობის წინაისტორიის თაობაზე. გამოძიებას არ უცდია სხვა წყაროებთან, მაგალითად, შესაბამის პოლიციის განყოფილებაში გადაემონწმებინა დაზარალებულისა და მოწმისაგან მიღებული ეს ინფორმაცია.


ვითარება შეიცვალა 2018 წელს, როდესაც გამოძიებამ დაიწყო ძალადობის წინაისტორიის შესწავლა და დამატებით მოახდინა ამ ქმედებების სამართლებრივი კვალიფიკაცია. 2018 წლიდან ძალადობის წინა ისტორიები პროკურატურას და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთებაში ეხმარება.<sup>36</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გამოითხოვა ინფორმაცია კვლევაში გაანალიზებულ საქმეებზე ძალადობის წინარე მიმართვების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის საქმეებიდან, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენამდე დაზარალებულმა ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შესახებ განაცხადა - 4 შემთხვევაში, 2015 წელს - ერთ შემთხვევაში, 2016 წელს - 6 შემთხვევაში, 2017 წელს - 5, ხოლო 2018 წელს 5 შემთხვევაში.<sup>37</sup>

35 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2163-18.

36 პროკურორი ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე წარადგენს ბრალდებულის მიმართ გამოცემულ დამცავ და შემაკავებელ ორდერებს, ასევე, მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე დადგენილებას, დაზარალებულის მიმართ დანაშაულის ჩადენის თაობაზე განაჩენს. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, პროკურორი ამტკიცებს, რომ კვლავაც არსებობს იმის საფრთხე, რომ პატიმრობის გარდა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებულმა ჩაიდინოს გენდერული დანაშაული ან ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე ან მის ახლო ნათესავზე. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ყოველ ასეთ შუამდგომლობას იზიარებს.

37 საქმეთა ნაწილზე გამოკითხვით ინფორმაცია, ხოლო ნაწილი საქმეებისა, სახალხო დამცველმა ინდივიდუალურად შეისწავლა და უკვე გვექონდა მოწოდებული ინფორმაცია ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ფაქტამდე ძალადობის წინარე მიმართვების შესახებ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 0 19 02918078, 01/11/2019; MIA 9 19 03066775, 15/11/2019; MIA 4 19 03205090, 29/11/2019. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებზე მოწოდებული წერილები: MIA 0 18 01738638, 20/07/2018; MIA 5 18 01257321, 29/05/2018; 22/02/2018, MIA 1 18 00431324; MIA 0 18 00446741, 23/02/2018; MIA 2 18 00901864, 18/04/2018; MIA 4 18 00708555, 27/03/2018; MIA 8 18 03133932, 28/12/2018; MIA 5 18 03046783, 18/12/2018; MIA 3 19 00094825, 14/01/2019.



დიაგრამა N14: სამართალდამცავი უწყებისადმი წინარე მიმართვები ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში<sup>38</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზმა გამოავლინა პოლიციის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემთხვევები, რასაც შემდგომ ფემიციდი მოჰყვა.<sup>39 40</sup> გაანალიზებული საქ-

მეებიდან იკვთება, რომ პოლიციის დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობამ გამოიწვია მოძალადის მხრიდან უფრო მძიმე ძალადობის - ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ჩადენა დაზარალებულის მიმართ.<sup>41</sup>

38 დიაგრამაში მოცემული ინფორმაცია წინარე მიმართვების შესახებ ეყრდნობა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წერილობით მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც რიგ შემთხვევებში განსხვავდება სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული ინფორმაციისგან.  
 39 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რ.კ-ს საქმე №1/688-14.  
 40 თბილისის საქალაქო სასამართლო ი.ს-ს საქმე №1/642-15.  
 41 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/40179, 04 /ივნისი/2019 წ. პოლიციელ ა.ჯ.-ს მიერ 2018 წელს თავისი მეგობარი ქალის მკვლელობის მცდელობა და მეგობარი ქალის ყოფილი ქმრის მკვლელობა, სადაც სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით), ბრალი საპატრულო პოლიციის 2 თანამშრომელს წარედგინა.

## 5. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/ დადგენილებების ანალიზი

2014-2018 წლებში, სახალხო დამცველის აპარატს, დადგენილებები/განჩინებები გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, 40 საქმეზე მოეწოდა.<sup>42</sup> მათგან 27 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო შეწყდა, 5 საქმეზე - ბრალდებულის გარდაცვალების გამო, ბრალდებულად პასუხისმგებლობაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო, გამოძიება შეწყდა 5 საქმეზე, ხოლო დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო გამოძიება შეწყდა 3 საქმეზე.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია ხსენებულ საქმეებზე მომხდარ დანაშაულის ფაქტამდე შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ძალადობის თაობაზე შესული შეტყობინებების თაობაზე.

2014 წელს მომხდარ იმ საქმეებზე, რომლებზეც დევნა ან გამოძიება ქალისათვის სიცოცხლის მოსპობამდე ან სიცოცხლის მოსპობის მცდელობამდე შეწყდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინება მხოლოდ 1 საქმეზე იყო შესული,<sup>43</sup> 2015 წელს - 2 საქმეზე.<sup>44</sup> 2016 წელს მომხდარ იმ საქმეებზე, რომლებზეც დევნა ან გამოძიება ქალისათვის სიცოცხლის მოსპობამდე ან სიცოცხლის მოსპობის

მცდელობამდე შეწყდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ შესულა.<sup>45</sup> 2017 წელს, მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობამდე ძალადობრივი ინციდენტის შესახებ, მოძალადის მიმართ პოლიციაში შეტყობინება შევიდა 2 საქმეში.<sup>46</sup> 2018 წელს, სიცოცხლის მოსპობამდე/მცდელობამდე, მხოლოდ 1 საქმეში იკვეთება პოლიციისათვის შეტყობინება.<sup>47</sup>

სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც ჩადენილია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, შეურაცხადობის მდგომარეობაში. ამის მიზეზი იმ გარემოების დადგენის სირთულეა, რამდენად აღიქვამენ აღნიშნული პირები გენდერის კონცეფციას.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ მოწოდებული განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ, უმეტესად თითქმის არანაირ მითითებას არ შეიცავენ საქმის ფაქტობრივი გარემოების თაობაზე. კერძოდ, ასეთ განჩინებებში არ გვხვდება მითითება, რა ფაქტობრივ გარემოებებში შეეცადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოეკლა ქალი ან რა გარემოებებში მოკლეს ქალი.

42 საქმეები ძირითადად დაკვალიფიცირებულია, 108-ე, 109-ე, 19.108-ე, 19.109-ე, 11<sup>1</sup>-108-ე, 11<sup>1</sup>-109-ე, 11<sup>1</sup>-19-108-ე, 11<sup>1</sup>-19-109-ე მუხლებით.

43 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი: MIA 9 19 03066775, 15/11/2019.

44 იგივე.

45 იგივე.

46 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 9 19 03066775, 15/11/2019; 3/10/2017, MIA 9 17 02385846; 28/06/2017 MIA 2 17 01537643.

47 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი: MIA 9 19 03066775, 15/11/2019, MIA 1 19 02218922, 21/08/2019.

## 6. სასამართლო ეტაკზე გამოვლენილი ხარვეზები

### 6.1 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენების სპეციფიკა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ 2014-15 წლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული „სქესის ნიშანი“ არცერთხელ არ ყოფილა გამოყენებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასამძიმებლად. აღნიშნულ პერიოდში, შესაბამისი მუხლის მიუთითებლად, ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის გამო, ბრალდებულის პასუხისმგებლობა 4 საქმეში დამძიმდა.

23 საქმეზე გენდერული მოტივი იკვეთებოდა თავად ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებით, თუმცა ამის გამო სასამართლოებს სასჯელი არ დაუმძიმებიათ. უფრო მეტიც, როდესაც საქმეში გენდერული მოტივი გამოიკვეთებოდა, სასამართლო აცხადებდა, რომ საქმეში საერთოდ არ არსებობდა დამამძიმებელი გარემოებები. ამ პერიოდში სქესის ნიშანზე მითითებას არც პროკურორები ცდილობდნენ. შედეგად, ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა მეოთხედში (38-დან 11 საქმე) დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რითაც ბრალდებულებს არაპროპორციულად მსუბუქი სასჯელი დაეკისრათ.

ამავე პერიოდში გვხვდებოდა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ისეთი საქმეები, სადაც მოძალადეს შეუმსუბუქდა სასჯელი. მაგალითად, ბენზინის შესხმით ცოლის მკვლელობის მცდელობის საქმეში, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ შემამ-

სუბუქებელ გარემოებად მსხვერპლისა და ბრალდებულის ახლო ნათესაური ურთიერთობა დაასახელა და ბრალდებულს შეუფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

2016 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-31 ნაწილი სათანადო დასაბუთების გარეშე, გამოყენებული იქნა ერთ საქმეში.

2017 წლიდან, საერთო სასამართლოებმა აქტიურად დაიწყეს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენება ოჯახში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით.<sup>48</sup> ეს ტენდენცია გაგრძელდა 2018 წელსაც, როდესაც მოსამართლეები ასევე უთითებდნენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია), ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე პასუხისმგებლობის დასამძიმებლად.

ამასთან, სასამართლოების მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტზე მითითება, ამ ნორმის კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან კავშირის დაუსაბუთებლად, პრობლემად დარჩა 2018 წელს ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო აღნიშნულ მუხლს ძირითადად იმ შემთხვევაში იყენებდა, თუ დანაშაული ოჯახის წევრის მიმართ იყო ჩადენილი. ქალის მიმართ ძალადობის სხვა საქმეებში გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენის გამო სასჯელის დამძიმება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.<sup>49</sup>

48 2017 წელს სასამართლომ და პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი 14 საქმეში გამოიყენა. 2017 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც გენდერულ მოტივს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ადგენს, მხოლოდ ერთ საქმეში გამოიყენა.

49 სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „გენდერული ნიშანი“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, ძირითადად მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრი ქალების მიმართ.

2018 წელს, კვლავ პრობლემური იყო გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ეჭვიანობის მოტივთან დაკავშირება.<sup>50</sup> აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ა.ჯ.-ს საქმე, სადაც მამაკაცმა ეჭვიანობის გამო სცადა მეგობარი ქალის მოკვლა.<sup>51</sup> ამ საქმეში დაცვის მხარე თავის სააპელაციო საჩივარში აკრიტიკებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმადც ქმედება ჩადენილი იყო გენდერული მოტივით. დაცვის მხარის მტკიცებით, დანაშაული მოტივირებული იყო არა გენდერული ნიშნით, არამედ როგორც თავად დაცვის მხარე აცხადებდა, „დაზარალებულის არასწორი ცხოვრების წესით“. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში ადვოკატი ასაჩივრებს გენდერულ მოტივის არსებობას, თუმცა თავადვე არასენსტიური ფორმით უსვავს ხაზს ამ მოტივის არსებობას.

ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ იურიდიული წრეების ნაწილისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რომ ეჭვიანობის ან ღალატის მოტივით დანაშაულის ჩადენა, მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირის მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულია.

## 6.2 სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით, მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

2014-2018 წლებში ჩადენილი ფემიციდის დანაშაულის უცვლელ მიზეზებად, როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებებში, ისე სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენებში, სახელდება: ურთიერთშელაპარაკება, შურისძიება, განაწყენება, ეჭვიანობა და შურისძიება ეჭვიანობის ნიადაგზე.

2014-2018 წლებში ფემიციდის ჩამდენ პირებს, სასჯელს, ძირითადად, წარსულში ნასამართლობის გამო უმძიმებდნენ. რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, ასეთად უმეტესად მიიჩნევენდნენ გამოძიებასთან თანამშრომლობას, აღიარებას, მათ შორის, მაშინაც, როცა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა შესაძლებელი იყო აღიარებითი ჩვენების მიუცემლად. მნიშვნელოვანია, რომ ფემიციდის სპეციფიკის გათვალისწინებით დანაშაულის აღიარება, მაშინ როდესაც ბრალდებული არ ნანობს ჩადენილ დანაშაულს და მეტიც მას ღირსებად მიაჩნია ქალის მკვლელობა და დანაშაულს ამიტომ აღიარებს, არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. შემამსუბუქებელ გარემოებად ასევე მითითებული იყო ბრალდებულის დადებითი დახასიათება. რომელ ასპექტში ხასიათდება ბრალდებული დადებითად, ეს ჩვეულებრივ არ ჩანს განაჩენიდან, თუმცა ერთ-ერთ საქმეს ახლავს მეზობლების ხელმოწერა, რომ ბრალდებული დადებითი პიროვნებაა, რადგან წარსულში მეზობლებს სხვადასხვა სამუშაოებში ეხმარებოდა.<sup>52</sup>

ზოგიერთ საქმეში, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები გაითვალისწინეს სასჯელის დანიშვნისას და შედარებით ღმობიერი სასჯელი შეუფარდეს.<sup>53</sup>

ერთ-ერთ საქმეში მსუბუქი სასჯელი იმიტომ გამოიყენეს, რომ ბრალდებული, ცოლის მოკვლის მცდელობისას ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო. სასჯელის განსაზღვრისას ზოგჯერ მხედველობაში მიიღება ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და ის გარემოება, ბრალდებულს ხომ არ ჰყავს სარჩენი პირები.

საქმეთა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 2014-2018 წლებში სასჯელის შემსუბუქებაზე გავლენას ახდენდა ისეთი გარემოებები, როგორიცაა

50 2018 წელს მოხდა ფემიციდის 7 და ფემიციდის მცდელობის 13 დანაშაული. ფემიციდის 7 საქმიდან გენდერული მოტივი დადგინდა ორ საქმეში. ორივე საქმეში სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლის ორივე, პირველ და მეორე ნაწილზე მიეითა. თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3253-18.  
51 რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1-252-14 საქმე.  
52 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გ.ჩ.-ს საქმე №1-349-14.



ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგება, ახლო ნათესაური ურთიერთობა, ბრალდებულის ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და მის კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა და ა.შ.

დამატებით, სასამართლო ზოგჯერ იგნორირებას უკეთებდა იმ გარემოებას, რომ ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. 2018 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ორ საქმეში არ გამოუყენებია სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტი, როდესაც ყოფილ ქმრებს ჰქონდათ ცოლების მოკვლის მცდელობა.<sup>54, 55</sup>

### 6.3 დანაშაულის კვალიფიკაცია

ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეების შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, დანაშაულის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია იარსებოს გენდერულად მგრძნობიარე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ, რომელიც ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს სათანადოდ აღიარებს, კვალიფიკაციას განუსაზღვრავს და დასჯის.

ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით პრობლემას ქმნის სათანადო კვალიფიკაცია. 2017 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, დანის გამოყენებით და ბავშვის თანდასწრებით ჩადენილი ფემიციდის მცდელობა, არ დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობა) ჩადენილად. მაშინ, როდესაც ბავშვის თანდასწრებით მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის ჩადენა ტანჯვას აყენებს ბავშვს და ასეთი ქმედება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად მიიჩნევა.<sup>56</sup>

ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა 2014 და 2016 წელს განხილულ ერთ, და 2017 წელს განხილულ ორ საქმეში. აღსანიშნავია, რომ მოძალადის ქმედებას, ყველა შემთხვევაში, ჩადენილ დანაშაულზე მსუბუქი კვალიფიკაცია მიენიჭა.

2018 წელს ეს მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბავშვის თანდასწრებით მომხდარი ფემიციდის ორი საქმე განიხილა და ორივე საქმეში დაადგინა, რომ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით იყო ჩადენილი.<sup>57</sup>

54 თბილისის საქალაქო სასამართლოს ზ.მ.-ს საქმე №1/1311-18.

55 თბილისის საქალაქო სასამართლოს ი.ც.-ს საქმე №1/737-18.

56 თბილისის საქალაქო სასამართლოს ი.ტ.-ს საქმე №1/2172-17. 2017 წელს, ბავშვის თანდასწრებით ჩადენილი ფემიციდის მცდელობა თბილისის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად არ მიიჩნია, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, 3 წლის ბავშვი მკვლელობას ვერ გააცნობიერებდა.

57 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 სექტემბრის განაჩენი №1/3253-18; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი №1/3152-18.

# დასკვნა

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით მთელი რიგი წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ფემიციდთან ბრძოლისა და ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით, კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება.

დადებითად უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ განხილულ ფემიციდის საქმეებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის გამოყენება, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ საქმეებზე მითითება, სადაც ქალის სიცოცხლის დაუცველობის გამო, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა დადგინდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში აღარ იკვეთება ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებში საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა და არაპროპორციულად მსუბუქი სასჯელების დაკისრება, რაც პოლიტიკის გამკაცრებას უკავშირდება. ასევე, წინა წლებისგან განსხვავებით, შეინიშნება, რომ დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა დროში აღარ იწელება.

განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, გამოძიების ეტაპზე შეინიშნება ფემიციდამდე და ფემიციდის მცდელობამდე ძალადობის წინაისტორია. გამოძიება, ხშირად, დამატებით სამართლებრივ კვალიფიკაციას აძლევს ამგვარ წინაისტორიებს, ძირითადად სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის წინაისტორიის შესწავლით საბუთდება პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, კვლავ პრობლემად რჩება ეჭვიანობის და ღალატის გამო შურისძიებით მოტივირებული ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის დაუკვალიფიცირებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის პირველი

ნაწილით გათვალისწინებული „გენდერის ნიშნით“, ასევე, ამ ნიშნით მოტივირებული დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, მსჯავრდებულისათვის პასუხისმგებლობის დაუმძიმებლობა.

პრობლემად რჩება ფემიციდის პრევენცია, 2018 წელს კვლავ გამოვლინდა შემთხვევები, სადაც მსხვერპლს დანაშაულის ფაქტამდე ჰქონდა მიმართული პოლიციისთვის, თუმცა დანაშაულის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.

ხუთი წლის განმავლობაში პრობლემა იყო და კვლავაც პრობლემად რჩება გენდერულად სტერეოტიპული გამონათქვამების გამოყენება.

„სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სამწუხაროდ, კვლავ არ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტი. ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს გენერალური პროკურატურის მოწოდებული სტატისტიკა კვლავ არ ემთხვევა ერთმანეთს, განსაკუთრებით პრობლემურია უზენაესი სასამართლოს მოწოდებული სტატისტიკა, რომელიც მუხლობრივად არ შეესაბამება მოწოდებულ განაჩენებს და ასევე ეწინააღმდეგება პროკურატურის მოწოდებულ სტატისტიკას.<sup>58</sup>

წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რომ 2018 წლიდან, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის ძალისხმევით შედეგად, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების აღრიცხვა გაუმჯობესებულია. თუმცა, გამომწვევად რჩება პირველი ინსტანციის სასამართლოებში, საქმეთა აღრიცხვის არსებულ სტატისტიკურ ბარათებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც შესაძლებელს გახდის გაანალიზდეს ზოგადად ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები და ამ მიმართულებით შეგროვდეს უფრო ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია.

58 უზენაესი სასამართლოს პოზიციით, ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში პროკურატურისა და სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მონაცემები ერთმანეთს ვერ დაემთხვევა იმ მიზეზის გამო, რომ მოცემულ პერიოდში პროკურატურიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმართულ საქმეზე სასამართლოში შესაძლებელია განაჩენი დადგეს სხვა პერიოდში და კვლევის ფარგლებში ინფორმაციის გამოთხოვისას ვერ მოხდეს ის საქმეები, რომლებზეც განხილვა ჯერ კიდევ გრძელდება და საბოლოო განაჩენი დამდგარი არ არის. ასევე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს მსხვერპლი ქალების რაოდენობას, მაშინ როდესაც სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობას. დამატებით, ორი უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას შორის სხვაობა მუხლობრივ წრილში შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ სასამართლოს მიერ აღნიშნული მონაცემები მუხლობრივ წრილში დამუშავებულია განაჩენის მუხლების მიხედვით და არ ემთხვევა პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალის მუხლებს, რადგან ზოგიერთ საქმეზე სასამართლოში ბრალდება გადაკვალიფიცირდა ან საერთოდ ამოირიცხა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 ივნისის წერილი N 5602-08-2-202006081801).

# რეკომენდაციები

## საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი
- შემუშავდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციული მონაცემების/სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგია და სახელმწიფო უწყებებმა უზრუნველყონ მისი ეფექტიანი აღსრულება.

## გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კრიტიკულად გააანალიზებს პრევენციის არსებულ სისტემას ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, იმუშავებს კონკრეტულად ფემიციდის პრევენციის სისტემის შექმნასა და დახვეწაზე.

## იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე, სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

## საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- დასაშვებად ცნოს და განიხილოს ისეთი საკასაციო საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „გენდერის ნიშნით“ ჩადენილი დანაშაულების განმარტებასთან, რათა ხელი შეუწყოს ამგვარი დანაშაულების ერთგვაროვანი განმარტების პრაქტიკის ჩამოყალიბებას
- შეიმუშაოს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა იდენტიფიცირების მეთოდი და აწარმოოს ზუსტი სტატისტიკა.

## საერთო სასამართლოებს:

- მოსამართლემ განაჩენში დეტალურად დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება დანაშაულში გენდერული მოტივის არსებობა და დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენა; ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის ციტირების შემთხვევაში, კონკრეტულად დასაბუთდეს, რატომ არის ამ ნორმის გამოყენება რელევანტური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით
- მოსამართლემ იზრუნოს, რომ ფემიციდის საქმეებზე არ მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ბრალდებულს არ დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის მინიმუმზე დაბალი სასჯელი, როდესაც ქმედებაში ამკარად იკვეთება გენდერული ნიშანი
- სახელმძღვანელოდ იქნეს მიჩნეული სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის ახალი რედაქცია და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელი (და არა შემამსუბუქებელი) გარემოებაა.



### **საქართველოს გენერალურ პროკურატურას:**

- დანაშაულის ჩადენის იარაღის დასადგენად, მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, დროული და კვალიფიციური სამედიცინო, ასევე, სამედიცინო საექსპერტო მომსახურების უზრუნველყოფის ჩათვლით. როდესაც ესპერტიზის დასკვნის მოპოვება ვერ ხერხდება, დანაშაულის იარაღის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს სხვა წყაროდან
- ქალის გენდერულად მოტივირებული მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის საქმეების შესწავლისას, იმ საქმეებში, სადაც დანაშაულის ჩადენამდე, ქალის მიერ, ძალადობასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვები იკვეთება, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა გამოიკვლიონ შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის გარემოებები.

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას
- ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანად დასაცავად დასახმარებლად, განისაზღვროს გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე
- გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, კერძოდ, გაანალიზდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად.

# დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა<sup>59</sup>

პროკურატურის მონაცემებით, 2014-2018 წლებში 135 ქალის მკვლელობის ფაქტია აღნუსხული (მათგან 3 თვითმკვლელობამდე მიყვანა), საიდანაც 64 შემთხვევაში გამოიკვეთა ოჯახური დანაშაული (მათგან 2 თვითმკვლელობამდე მიყვანა), ხოლო 71 შემთხვევაში - სხვა მოტივი (მათგან 1 თვითმკვლელობამდე მიყვანა).

ასევე, ამავე წლებში 69 მკვლელობის მცდელობის ფაქტი იყო (მათგან 5 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა), საიდანაც 46 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოჯახური ნიშნით დანაშაულის ჩადენას (მათგან 5 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა), ხოლო 23 საქმეში გამოიკვეთა სხვა მოტივი.

## ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობა (64 შემთხვევა)

ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მკვლელობიდან, 37 შემთხვევაში დევნა დაიწყო 11<sup>1</sup>-108-ე მუხლით, 10 შემთხვევაში - 11<sup>1</sup>-109-ე მუხლით, 3 შემთხვევაში - 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1 შემთხვევაში - 108-ე მუხლით, 1 შემთხვევაში - 109-ე მუხლით, 1 შემთხვევაში -117-ე (6) მუხლით, 2 შემთხვევაში - სსკ-ის 11 პრიმა 117-ე მუხლით, 2 - შემთხვევაში 11 პრიმა 115 მუხლით.

6 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალებას/თვითმკვლელობას, 15 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო, 2 შემთხვევაში - ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

**დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია:** თბილისი - 25 შემთხვევა, დასავლეთ საქართველო - 8, კახეთი - 9, შიდა ქართლი - 5, აჭარა - 4, ქვემო ქართლი - 6, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 4, სამცხე-ჯავახეთი - 2, მცხეთა მთიანეთი -1.

**დაზარალებულთა ასაკი:** 18 წლამდე -1, 18 დან 30 წლამდე - 9, 30-დან 40 წლამდე - 17 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 9 ქალი; 50-60 - 3 ქალი, 60-დან 70 წლამდე - 12 ქალი; 70 წელს ზემოთ - 13 ქალი.

**ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი:** ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის/ყოფილი ცოლის მკვლელობა - 37, შვილიშვილის მიერ ბებულის მკვლელობა - 2, შვილის მიერ დედის მკვლელობა - 12, მამამთილის მიერ რძლის მკვლელობა - 1, ბიძის მიერ მცირეწლოვანი დისშვილის მკვლელობა - 1, მამლის მიერ რძლის მკვლელობა - 1, სიძის მიერ სიდედრის მკვლელობა - 1, გერის მიერ დედინაცვლის მკვლელობა - 2, მამობილის მიერ გერის მკვლელობა - 1, დის მიერ დის მკვლელობა -1, ძმის მიერ დის მკვლელობა - 2, ძმისშვილის მიერ მამიდის მკვლელობა -1, ოჯახის სხვა წევრის მკვლელობა (პირის, ვისთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას) - 1, მამის მიერ შვილის თვითმკვლელობამდე მიყვანა -1.

59 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილები: №13/58062, 09/08/2019წ; №13/86342, 10/12/2019წ; №13/72420, 08/11/2017წ; №13/10053, 08/02/2018წ; №13/6816, 31/01/2019წ; №13/86239, 09/12/2019 წ; №13/1865, 14/01/2020 წ.

### **ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობა (46 შემთხვევა)**

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობიდან 1 შემთხვევაში დევნა დაიწყო 19, 108-ე მუხლით, 2 შემთხვევაში - 19-109-ე მუხლით, 22 შემთხვევაში - 11'-19-108-ე მუხლით, 12 შემთხვევაში - 11'-19-109-ე მუხლით, 5 შემთხვევაში - 11'-115-ე მუხლით.

8 შემთხვევაში დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო, 1 შემთხვევაში - პირის გარდაცვალების გამო, ხოლო 1 შემთხვევაში დევნა არ დაწყებულა პასუხისგებაში მისაცემი პირის თვითმკვლელობის გამო.

**დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია:** თბილისი - 15, დასავლეთი - 6, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 4, ქვემო ქართლი - 1, კახეთი - 8, შიდა ქართლი - 2, აჭარა - 6, მცხეთა-მთიანეთი - 1, იმერეთი - 3.

**დაზარალებულთა ასაკი:** 18 წლამდე - 2 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 10 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 18 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 6 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 4 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი, 70 წელს ზემოთ - 4 ქალი.

**ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი** - 33 შემთხვევაში დანაშაული ჩაიდინა ქმარმა ან ყოფილმა ქმარმა, 2 შემთხვევაში - ძმამ, 4 შემთხვევაში - შვილმა, 4 შემთხვევაში - პირმა, ვისთან ერთადაც ეწეოდა ერთიან სამეურნეო საქმიანობას, 1 შემთხვევაში - რძალმა დედამთილის მიმართ, 1 შემთხვევაში - მამამთილმა რძლის მიმართ, ასევე 1 შემთხვევაში - სიძემ სიდედრის მიმართ.

### **სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობა (71 შემთხვევა)**

აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით დაიწყო: სსკ-ის 108-ე მუხლით - 22 პირის მიმართ, სსკ-ის 109-ე მუხლით - 28 პირის მიმართ, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, 115-ე მუხლით - 1 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა 9 შემთხვევაში, ვინაიდან 8 შემთხვევაში, ჩატარებული გამოძიებით ვერ დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა, 1 შემთხვევაში კი, პირის გარდაცვალების გამო. სისხლისსამართლებრივი დევნა 2 პირის მიმართ შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, 1 საქმეზე დევნა შეწყდა ბრალდებულის გარდაცვალების გამო, 5 საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. 3 საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

**დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა:** თბილისი - 19, სამცხე-ჯავახეთი - 12; დასავლეთი - 8; ქვემო ქართლი - 5; შიდა ქართლი - 10, კახეთი - 6, აჭარა - 4, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 4, აფხაზეთი - 2, მცხეთა-მთიანეთი - 1.

**დაზარალებულთა ასაკი:** 18 წლამდე - 9 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 7 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 9 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 12 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 8 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 9 ქალი; 70 წელს ზემოთ - 17 ქალი.

**ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი** - 25 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 5 შემთხვევაში მეზობლის მიერ, 15 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 - ყოფილი პარტნიორის მიერ, 1 შემთხვევაში - მამიდაშვილის მიერ, 1 შემთხვევაში ინტიმური პარტნიორის მიერ, 2 - პარტნიორის მიერ, 2 შემთხვევაში - სავარაუდო პარტნიორის მიერ, 12 შემთხვევაში გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ, 1 შემთხვევა ეხება კაცის მიერ არასრულწლოვნის თვითმკვლელობამდე მიყვანას.

### **სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობის მცდელობა (23 შემთხვევა)**

10 პირის მიმართ დევნა დაიწყო 19.108-ე მუხლით, ხოლო 8 პირის მიმართ - 19.109-ე მუხლით.

2 საქმეზე დევნა შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, ხოლო 1 საქმეზე დევნა შეწყდა გარდაცვალების გამო. 2 საქმეზე დევნა არ დაწყებულა, რადგან ვერ დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა.

**დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა:** თბილისი - 5, დასავლეთ საქართველო 1, კახეთი - 1, შიდა ქართლი - 5, აჭარა - 6, ქვემო ქართლი - 2, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1, სამცხე-ჯავახეთი - 1, იმერეთი - 1.

**დაზარალებული ქალების ასაკი:** 18 წლამდე - 1, 18-დან 30 წლამდე - 7; 30-დან 40 წლამდე - 5; 40-დან 50 წლამდე - 2; 50-დან 60 წლამდე - 6; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი.

**ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი** - 5 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 6 შემთხვევაში - მეზობლის მიერ, 7 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 2 შემთხვევაში - პარტნიორის მიერ, 1 შემთხვევაში - ბიძაშვილის მიერ, 2 შემთხვევაში - გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ.



